დამტკიცებულია: სსიპ- სამცხე-ჯავახეთის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს დადგენილებით N54
23.12.2020 წ. ოქმი N8
დანართი 2:

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის წესი

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვისა და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის პროცედურებს.
2. პროფესიულ პროგრამაზე სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და უნდა ინახებოდეს ამ მუხლით დადგენილი წესით.
3. პროდუქტი, რომელიც შექმნილია დოკუმენტაციის სახით (ტესტები, პროექტები, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები და სხვა) ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით.
4. პროდუქტი, რომელიც წარმოდგენილია ელექტრონული სახით უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით.
5. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მატერიალური სახის ნაშრომს (ნახატი, მაკეტი და სხვ.) კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის შემდეგ, შესაძლოა მისი რეალიზაცია, გადაცემა სხვა პირისათვის საქველმოქმედო მიზნებისათვის ან განადგურება დადგენილი წესით ან დარჩება უნივერსიტეტში საგანმანათლებლო მიზნებისათვის.
6. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მალფუჭებად საქონელს, ფიქსირდება ფოტო ან ვიდეო გამოსახულების სახით, რაც ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან 3 წლის განმავლობაში. პროდუქტი კი ნადგურდება დადგენილი წესით.
7. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი ავტორ(ებ)ის/შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია.
8. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება

ხდება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე საამისოდ გამოყოფილ ადგილას, რომლის ტერიტორიიდან გატანა ხორციელდება მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ, დადგენილი წესის შესაბამისად.

9. სასწავლო პროცესის ფარგლებში სახიფათო ნარჩენების წარმოშობის შემთხვევაში სავალდებულოა მათი შეგროვება სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერ(ებ)ში, რომელსაც ექნება შესაბამისი აღნიშვნა. სახიფათო ნარჩენების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი მოდულის განმახორციელებელს. უნივერსიტეტი ვალდებულია ტერიტორიიდან სახიფათო ნარჩენების გასატანად შესაბამის ორგანიზაციასთან გააფორმოს ხელშეკრულება.

10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში პრაქტიკის ობიექტზე წარმოქმნილი სახიფათო და მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და გატანაზე პასუხისმგებელია შესაბამისი პრაქტიკის ობიექტი.